ოქმი:**ო02. 3723121001**

თარიღი:**01/05/2023**

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 28 აპრილი

ქ.ოზურგეთი

11.00-12.00 საათი

თავმჯდომარეობდნენ: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი, ნ. ურუშაძე, ვლ. ხავთასი, დ. ჭაკნელიძე, გ. სირაძე, ტ. აროშიძე, თ.ტუღუში, თ. ნიკოლაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უპატრონო და მაწანწალა ძაღლების მოვლა-პატრონობის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძემ

თანამომხსენებელი: ი. გაბედავა

2. კორესპოდენციის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

მომხსენებელმა, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ „მომსახურების ცენტრის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უპატრონო და მაწანწალა ძაღლების მოვლა-პატრონობის მდგომარეობის შესახებ“, ხოლო უფრო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ი. გაბედავამ, რომელმაც განაცხადა, რომ გასულ წელს, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის შედეგად, მომსახურება გაეწია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 330-უპატრონო ძაღლს(ვაქცინაცია, კასტრაცია, სტერილიზაცია-დაფინანსება 39 ათასი ლარი), მიმდინარე წლის 7 აპრილს გამოცხადდა ტენდერი 45 ათას ლარიან მომსახურებაზე(350-ძაღლი), მასთან აღინიშნა, რომ დაგეგმილი ღონისძიებები სრულად ვერ უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარებას. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ინფორმაციის სრულყოფა და მისი ჯერ ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

მომხსენებელმა, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია

კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

გადაწყვიტეს:

კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ინფორმაცია სრულყოფის შემდეგ წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი